

## სასერტიფიკატო კურსი

### კომპიუტერული პროგრამის STATA-ს გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი

**სასერტიფიკატო კურსის მოცულობა:** 24 საათი

**სასერტიფიკატო კურსში ჩართვის წინა პირობა:**

კურსში ჩართვისათვის საჭიროა, მსურველები ფლობდნენ STATA-ში მუშაობის ძირითად უნარ-ჩვევებს. კურსის მონაწილეებს უნდა გააჩნდეთ აღწერილი სტატისტიკის საბაზისო ცოდნა.

**სასერტიფიკატო კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა:**

კურსი განკუთვნილია სოციალურ მეცნიერებებში და მარკეტინგის სფეროში ჩართული ადამიანებისათვის, ვისაც ინტენსიურად უხდება მუშაობა რაოდენობრივ მონაცემებთან, უხდებათ შედარებით დიდ და რთულ ბაზებთან მუშაობა და მათზე სიღრმისეული სტატისტიკური ანალიზის ჩატარება.

**სასერტიფიკატო კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:**

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ პროგრამის მონაწილეებს შეეძლებათ შედარებით რთული და დიდი მოცულობის ბაზების დამოუკიდებლად დამუშავება. სხვადასხვა ტიპის აღწერილი და დასკვნითი სტატისტიკური ანალიზების ჩატარება.

**მსმენელთა შეფასების სისტემა:**

მსმენელთა შეფასება მოხდება კურსის დამთავრების შემდეგ ჩატარებული გამოცდის მიხედვით. გამოცდის მიზანი იქნება შეამოწმოს რამდენად შეუძლიათ პროგრამაში მონაწილეებს STATA-ს გამოყენებით შესრულონ პრაქტიკული დავალებები.

**სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:**

კურსის სტრუქტურიდან გამომდინარე სავალდებულოა მონაწილეთა აქტიური დასწრება. გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ის მონაწილეები, რომლებიც დაესწრნენ ლექციების მინიმუმ 75%-ს (9 ლექცია).

კურსის სტრუქტურა ძირითადად იყოფა ორ ნაწილად: მონაცემთა ბაზების ფორმირება/დამუშავება და აღწერილობითი და დასკვნითი სტატისტიკური ანალიზი. გამოცდის დროს მოხდება ამ ორი მიმართულების დამოუკიდებლად შემოწმება 10 ბალიანი სისტემით. სერთიფიკატის მინიჭება მოხდება იმ შემთხვევაში თუ მონაწილე გამოცდის თითოეულ ნაწილში მიიღებს მინიმუმ 6 ქულას.

№	საკითხები	საათების რაოდენობა
1	სიხშირული და კროსტაბულაციური ანალიზი და მათი გაფართოებული შესაძლებლობები	2
2	გრაფიკულ რედაქტორთან მუშაობა	2
3	პროგრამირების ელემენტები-Macro ბრძანებები	2
4	პროგრამირების ელემენტები-ციკლური ოპერატორები	2
5	პროგრამირების ელემენტები-პირობითი ოპერატორები	2
6	პროგრამირების ელემენტები-სრულყოფილი პროგრამის შექმნა	2
7	მონაცემთა შეწონვა	2
8	მონაცემთა ფილტრაცია. პირობების მიხედვით მონაცემთა დათვლა	2
9	პარამეტრების სანდოობის ინტერვალის შედგენა	2
10	ჰიპოთეზების შემოწმება	2
11	კორელაცია და წრფივი რეგრესია	2
12	დამატებითი პრაქტიკული სავარჯიშოები მონაცემების დამუშავებასა და წმენდაში	2